№ 210. 9 ოკტომბერი, პარასკევი. 1866—1881 9 ოკტომბერი, პარასკევი. № 210

რედაქცია

გოლოვინის პროსპექტზედ. ივ. მუხრანსკის სახლებში კლუბის ქვემოთ.

ხელის-მოწერა

მიიღება თფილისში „დროება"-„ივერიის" რედაქციაში, ქუთაისში: „დროება-ივერიის" აგენტთან ი. ჭყონიასთან ხილაზე. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба"-„Иверія".

„დროება"-„ივერიის" ფასი

| | წელიწადში. | 6 თვეს. | 3 თვეს |
|---|---|---|---|
| „დროება" და „ივერია" ერთად | 14 მან. | 8 მ. | 5 მ. |
| ცალკე „დროება" | 9 მან. | 5 მ. | 3 მ. |
| ცალკე „ივერია" | 7 მან. | 4 მ. | 2 მ. |

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

ფასი განცხადებისა

დიდი ასოებით ასოზე 1 კაპ., წვეულებრივის ასო-მთავრულით ასოზე ნახევარი კაპ., წვეულებრივის ასო ასოზე მეოთხედი კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდელ წერილს რედაქცია ფოსტით ვერ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადებანი მიიღება ქართულს, რუსულს და სხვ ენებზედ.

ქუთაისში განცხადება მიიღება „დროება"-„ივერიის" აგენტთან.

ცალკე ნომერი „დროებისა" ღირს 5 კაპ.

ხაფიცი ვექილი

ვალერიან მიხეილის-ძე

## გარბოვსკი-ზარანექ

სცხოვრებს გალავინის პროსპექტზე, დობრჟანსკის სახლში, კიბე გალავინის პროსპექტიდამ.

მთხოვნელებს მუდამ დღე მიიღებს: დილით 8 საათიდამ 10-მდინ და საღამოს 6-დამ 8-მდინ. გამიჯვნისა და ადმინისტრაციის საქმეებისათვის მიიღებს საღამოობით. (5—4)

საზაფხულო თეატრში

შაბათს, 10 ოკტომბერს

პირველი დებიუტი ვ. ალექსეევისა-მესხიევისა და ქ. ბებურიშვილისა.

ქართული დრამმატიული დასის არტისტებისაგან წარმოდგენილი იქნება:

I

შეშლილია!

დრამა 2 მოქმედებ.

II

გულმა იგრძნო

კომედია 1 მოქმედებად.

III

დივერტისმენტი.

ქ. ბებურიშვილისა წაიკითხავს სცენებს გურულთ ცხოვრებიდამ.

ბილეთები ისყიდება თეატრის კასაში.

დასაწყისი 8 საათზედ.

## ახალი სნეულება.

„ეკლარგი ურმა წინათ ვერა სცნობს, ბოლოს დაიწყებს ნანვასა".

Ცოტაოდენ შეძლებულს ოჯახობას დედა და მამა-კაცი მოსამსახურეთ ჰყავთ. მოსამსახურეთ ოჯახობაში დედ-მამაზედ ნაკლებ მნიშვნელობა არა აქვთ. მოსამსახურის სიკარგეს და სიავეს ყოველთვინ შვილებზედ დიდი გავლენა ჰქონიათ.

ჩვენი დედანი, სახლიდან რო გადიან სიამოვნების მისაღებად, თავიანთ შვილებს აბარებენ მოსამსახურეთ. ჩჩვილი ბუნება ყმაწვილისა სიყრმითვე ითვისებს კარგსა და ბოროტსა. შენიშნულია, რომ ოჯახობაში, რასაც ყმაწვილი სიყრმით გაიგებს, დაინახავს, ის იმას სიბერემდინ არ დაავიწყდება. ამისთვინ მოსამსახურენი უნდა იყვნენ ოჯახობაში ისე კარგნი, როგორც თვით დედ-მამანი. ამ საფუძველზედ ეხლა სდგას ყველა განათლებული ოჯახობა. ყველა განათლებულ ოჯახობაში შვილები დედ-მამას გარს ახვევიან, დღისით და ღამით ისინი იშვიათად ხედავენ მოსამსახურეთ. იმათი ხელმძღვანელნი აღზრდაში და სწავლა-განათლებაში დედ-მამანი არიან, ანუ დედ-მამის თანაშემწენი—განათლებულნი პირნი. ამ უკანასკნელ პირებზედ სასტიკი ყურადღება აქვთ დედ-მამას, რადგანაც აწ-მყო და მომავალი იმათი შვილებისა იმ პირებზედ არის დამოკიდებული.

საუბედუროდ, ჩვენ ჯერ ვერა ვსდგევართ ამ კეთილ გზაზედ. უმეტეს ოჯახში შვილებს უჩნდებათ გუვერნანკათ ბრიყვი და გარყვნილი გამდლები, გუვერნორათ—ლაქიები და პოვრები. ჩვენი ბავშვები უმეტეს ოჯახში თითქმის ბევრ დროს სამზარეულოში საკუჭნაოში ბიჭ-ბუჭებთან ატარებენ. რასაკვირველია, ყმაწვილები გარდა უწმაწურ ლაპარაკისა, გინებისა, ცრუმორწმუნოებაზედ საუბრისა და ავ-მოქმედებისა, კარგს ვერც არას შეიტყობენ და ვერც არას დაინახვენ. რადგანაც ბავშვი ისევ ბავშვია, ამისთვის ის ითვისებს მალე უფრო იმ ჩვეულებას და ზნეს, რომელიც იმას ყოველ ჟამს თვალ-წინ უდგას და იმის ჩჩვილ და უმანკო გრძნობაში ახატება. Ცუდი მაგალითები შინაურ ცხოვრებისა თავიანთ დედ-მამისა და მოსამსახურისა იმათთვინ ხდება დიდ მაგალითად. ამითი ჩვენი ყმაწვილები სიყრმითვე ოჯახობაში ირყვნებიან.

ეს ახალი სნეულება, დაკარგული ჩვენ წინაპართ ოჯახობისთვინ, დღეს ყმაწვილთ ოჯახიდგან შეაქვთ სასწავლებელში. სასწავლებელში ყველა გვარის და თვისების ყმაწვილები გროვდებიან. ამ ყმაწვილების გარჩევა პირველ შემთხვევაში მასწავლებლისათვის ძალიან ძნელია, რადგანაც ის ვერ არის იმათთან დაახლოებული. გარყვნილი ბავშვი რყვნის კარგ ბავშვს; კარგ ბავშვს ედება ცუდი ბავშვისაგან ზნეობითი სნეულება. და ეს სენი დღითი-დღე იმას გადააქვს ოჯახობაში, სადაც იმისი და-ძმანი ყველა ცუდს, ახლად შეტანილს, ჩვეულებათ მიიღებენ.

ესე ბრუნავს ჩარხი ოჯახსა და სასწავლებელ-შუა. კარგი და ავი გადადის ოჯახიდგან სასწავლებელში, სასწავლებლიდგან ოჯახობაში. ამისთანა მდგომარეობით ოჯახობა ირღვევა, იღუპება და საზოგადოებას მომავალში აკლდება კეთილ-ზნეობითნი წევრნი.

Თუმცა ამისთანა სნეულება იშვიათი არ არის ჩვენს ოჯახობაში, მაგრამ დღევანდლამდის ჩვენი დედანი—ოჯახის ბურჯნი, არა ფიქრობენ მოიპოვონ ის წამალი, რომელიც გაჰკურნავს და გაათავისუფლებს იმათ შვილებს ცუდის სნეულებისაგან. ჩვენ შევხვედრივართ დედათ, რომელთაც შვილი ჰყოლიათ ანთებით, სახადით და სხვა სნეულებით მძიმე ავათმყოფი, მაგრამ თითონ მორთულან, ფერ-უმარული სახეზედ გადაუსვამთ და დიდის ამბით საზრანიაში, ანუ კრუჟოკში წაბრძანებულან თავის-თავის გამოსაჩენათ. ნახვის უმალ ჩვენ ზოგიერთი ქალისთვინ გვიკითხავს.

„— ქალო, აქ რას აკეთებთ? ხომ შვილი გიკვდებათ!"

„— ნეტავი თქვენ. Თუ ღმერთს ნებავს, ჩემი შვილი არ მოკვდება. ზვერდით რომ უჯდე ჩემ შვილს, რას

«დროების» ფელეტონი, 9 ოკტომბ.

## ელექტრონული გამოფენა.

(წერილი პარიჟიდამ)

ამ ჟამად პარიჟში არის ელექტრონული გამოფენა. ევროპის თითქმის ყველა სახელმწიფოებს და აგრეთვე ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებულ შტატებსაც აქვთ მიღებული მონაწილეობა ამ გამოფენაში.

Ყველამ კარგად იცის—თუ რამოდენად დამოკიდებულია ბუნების მეცნიერების წარმატება ცდაზედ, ურომლოთაც ყოვლად შეუძლებელია რთულ და დახლართულ მოვლენათა მიზეზების შეტყობა, მათი კარკვევით ახსნა და შეძლების-და-გვარად მათით სარგებლობა ხელოვნობაში და მრეწველობაში ადამიანის შრომის შესამსუბუქებლად; ეს ცდა რასაკვირველია, მოითხოვს სხვა-და-სხვა გვარს იარაღს და რთულს მაშინებს, ამიტომ ვისაც კი რა უწარმოებია და უშრომია ამ დრომდის ელექტრონის მიზეზების გამოკვლევისათვის, ვისაც რა მაშინა გამოუგონია და ეს მაშინები შემოულია ხელოვნებაში, როგორც მოძრავი ძალა, ყველა არის გამოფენილი ერთს დიდს უზარმაზარს ორ-სართულიანს დარბაზში, რომელსაც უძახიან სახელად „სასახლეს მრეწველობისა".

Იქნება „Დროების" ბევრს მკითხველთაგანს არც კი აქვს გაგონილი—თუ რა არის ელექტრონი. ამიტომ მე აქ საჭიროდ ვრაცხ ელექტრონის ძალის მოკლეთ განმარტებას და ამასთანავე ბოდიშს ვიხდი იმ მკითხველებთან, რომლებსაც არა თუ აქვსთ გაგონილი ელექტრონზედ, არამედ კიდევაც შეუსწავლიათ ის და დაახლოებით არიან გაცნობილნი მის მრავალ გვარ მოვლინებებთან.

Ელექტრონი არის ისეთი ძალა, როგორც სინათლე, სითბო, ხმა და სხვები, რომლისაგანაც სხვათა შორის წარმოსდგება ელვა. Ყოველს კაცს უნახავს ელვა და ბევრს საშინელი ელვა-ჭექის დროს შიშის გამო კარებ-ფანჯრები ჩაუკეტია. ამ ძალის (ელექტრონის) მოპოება შეიძლება მრავალ ნაირად, მაგალითებრ: ორი სხეულის ერთმანერთზედ ხეხვით, წყლის აორთქლებით, სხვა-და-სხვა მეტალის დადნობით სხვა-და-სხვა სიმჟავის და მარილების შეზავებულებში. Ყველას შეუძლია შემდეგის მაგალითით დაინახოს ელექტრონის ძალა: აიყვანოს შავი კატა ბნელს ღამეში ანუ ბნელს ოთახში და რამოდენიმეჯერ ზურგზედ წაუსვას ხელი: ამ დროს გამომცდელი თუ კი კარგად დააკვირდება, შეამჩნევს ხელს და ბეწვს შუა ნაპერწკლებს. ეს ნაპერწკლები ელექტრონის ძალისაგან წარმოსდგება.

ამ ძალის უხვად მოსაპოებლათ მისი განვლენის შესატყობლად სხვა-და-სხვა სხეულების თვისებებზედ, მისი სისწრაფის, სიმძლავრის, მიმართულების და ამ თვისებების სარგებლიანად მოსახმარად არის გამოგონებული მრავალი მაშინები. Ყველა ამ მაშინების ანუ აპპარატების აღწერა შეადგენს ფიზიკის საგანს და არა სტატისას. აქ გვინდა ჩვენ მხოლოდ ჩამოვთვალოთ ზოგიერთი შესანიშნავი მაშინები, მოკლედ თვალი გადავავლოთ მათ მნიშვნელობას ხელოვნებაში, მეცნიერებაში და მრეწველობაში. ეს აღწერა უსურათებოდ წარმოადგენს მრავალ გვარ სიძნელეს, მაგრამ რა გაეწყობა. ნათქვამია: „სულ არაობასაო ცალი ულელი ხარი სჯობიაო". მაშ მოდი შევიდეთ, მკითხველო, მრეწველობის სასახლეში.

Დერეფანში ჩვენ შეგვხვდება დიდი უშველებელი ძეგლი, გაკეთებული თიხისაგან. Ის წარმოადგენს ტიტველ ადამიანს მბრძოლარეს ლომთან, რომელიც მას დასცემია უკანიდამ და თავის ბასრი კბილებით და ბრჭყალებით მაგრად ჩასჭიდებია სხეულში. ეს ძეგლი არის მოსპილენძებული, ესე იგი მაზედ არის გადაკრული ელექტრონის საშუალებით, ანუ როგორც მას უწოდებენ, გალვანოპლასტიკით, სპილენძის ძლიერ თხელი ქერქი იმ ნაირათ, როგორც ჩვენში ოქრო მჭედლები ვერცხლავენ ხოლმე ზოგიერთ

უშველი?! ჩემი გამდელი უჩემოთაც კარგათ მოუვლის ჩემ შვილსა. ზოგს ცოტაოდენ ხალხში გავართობ და იმითი განვიქარვებ სევდას."

აი, დღეს როგორ ესმით ზოგიერთ ჩვენ დედათ თავისი მოვალეობა?..

მოსამსახურეთ, როგორც წინათა ვსთქვით, დიდი გავლენა აქვსთ შვილებზედ. ამის გამო ოჯახობისთვინ მოსამსახურების ამორჩევა მძიმე ტვირთი და მოვალეობა უნდა იყოს. მაგრამ ამას რას დაგიდევენ ზოგიერთნი ჩვენი დედ-მამანი.

სხვა ქვეყანაში, თითქმის ყველა დიდ ქალაქებში, დაწესებულია ისეთი ადგილები, რომელთაც უწოდებენ კანტორებათ. ამ კანტორებში ყველა მოსამსახურეთ კეთილი თვისება და ავ-ზნეობა არის იმათვინ დაწესებულ წიგნში მოხსენებული. ყველას, ვისაც უჭირს მოახლე, ძიძა და მოსამსახურე, მაშინათვე შეუძლიან მიმართოს ამისთანა კანტორას და დაიჭიროს, ამ ადგილის მართველის სიტყვით, ის მოსამსახურე, რომელიც იმას უჭირს. დაჭერის დროს, დამჭერს ეძლევა კანტორიდგან მოსამსახურის ბილეთი, სადაც დაწვრილებით მოხსენებულია ვინაობა თვისება და ზნეობა მოსამსახურისა, აგრეთვე კანონები, რომლითაც ის დაისჯება, თუ ცუდი მოქმედება, რამ იმას ოჯახში შეემთხვა, ე. ი. ქურდობა მოტყუება, ავზნეობა და სხვანი. ამ გარემოებით იქ ყველა მოსამსახურე ცდილობს თავისი პატიოსანი ქცევით დაიგდოს კარგი სახელი და თავი შეაყვაროს ოჯახობას.

რადგანაც ჩვენში ამისათანა წესი ჯერ არ ჩამოვარდნილა, ამისთვინ ჩვენს ოჯახობაში ბევრჯელ შემოდიან მოსამსახურეთ უოჯახო, უგვარო და გარყვნილი პირნი, რომელთაც შეაქვთ სახლში სხვა-და-სხვა ცუდი ჩვეულება და ზნეობა. ცუდ-ზნეობით ისინი აუძლურებენ სულიერად და ხორციელად ჩვენ შვილებს. ბევრჯელ მომხდარა ოჯახში მოსამსახურისაგან ქურდობა და სხვა ავ-კაცობა, ბევრ გასათხოვარს ქალს დაუნდობელ მოსამსახურისაგან მიუღია უპატიურობა. აი ამისთანა მოსამსახურებს ჩვენი დედ-მამანი ხშირად ხელში უგდებენ თავიანთ შვილებს.

როგორც ოჯახობაში, აგრეთვე სასწავლებელში, მოსამსახურენი უნდა კეთილ თვისებისა იყვნენ. მაგრამ ბევრჯელ მომხდარა ოჯახობაში და სასწავლებელში შესანიშნავი ცუდი მაგალითები მოსომსახურისაგან და დღევანდლამდინ იმათი ცუდი მოქმედება დაფარულია, რომ არ დამცირდეს მაღალი მნიშვნელობა სასწავლებლისა და ოჯახობას სახელი არ გაუტყდეს. ბევრი მაგალითი ყოფილა ჩვენში, რომ ძიძას ყმაწვილი დაუქლერქებია, გული გაუხეთქია, დაუმახინჯებია, ავ ჭირით დაუსნეულებია და იმითი წაუხდენია ბაშვის სიმრთელე და გადაუდვია ცუდი სნეულება სხვა შვილებისთვისაც. ჩვენში რომ დედა უვლიდეს თავის შვილებს და თვითონ ძუძუს აწოვებდეს, ხომ ამისთანა უბედურობას შვილები გადარჩებოდნენ!

თუმცა ამისთანა გარემოებაში არის ბევრი ოჯახი, მაგრამ ჩვენ დედ-მამას თავის-თავის სიამოვნება უფრო მეტ მოვალეობათ მიაჩნიათ, ვიდრე შვილის სუფთად შენახვა და იმისი აღზრდა.

მოვა დრო და ჩვენი ზოგიერთნი გაქსუებულნი, კარ-და-კარ მატანტალა დედანი, ბეზიკის, ლოტო-ნარდის და სხვა სიამოვნების მოყვარულნი, თავისივე თვალით დაინახავენ თავიანთი შვილების და ოჯახის უბედურებას; მიიღებენ შვილებისაგან იმ ზრუნვას, იმ პატივს და იმ სიყვარულს, რომლითაც ისინი შვილებს მოექცნენ. მაშინ დედ-მამანი გაიგებენ, რომ თავისივე ხელით თავის შვილებს ყელი გამოსჭრეს და თავიანთი ოჯახი დაღუპეს; მაგრამ იმათ შერჩებათ მარტო სინანული და მწუხარება.

ხორეშან გვერდწითელისა.

30 ენკენისთვეს, 1881 წელსა.

## ახალი ამბები.

კინალამ, სამწუხაროთ, ერთი ამისთანა ამბავი არ მომხდარა ჩვენში, როგორიც ხდებოდა ამას წინად კიევის, ეკატირინოსლავის, ხერსონის და სამხრეთ რუსეთის ზოგიერთ სხვა გუბერნიებში. ჩვენ ვამბობთ ურიების შეურაცყოფის, ცემა-ქლეტისა და გაცარცვის თაობაზედ.

აი რას გვწერენ დაბა-სუჯუნიდამ (სენაკის მაზრიდამ):

„მოვიდა აქ ამბავი, რომ ვითომც კულაშის ურიებს ქრისტიანი და იმის წვალება განეზრახოსთ, და იმ წამსვე ძველებური ბუკი (საყვირი) დაჰკრეს და შუაღამემდინ ექვსასზე მეტი ხალხი მოგროვდა. ამ ხალხში ისმოდა გაცხარებული ლაპარაკი ურიების შესახებ, ზოგიერთები ამბობდნენ, მაგათი შებრალება, როგორ იქნება თავს დავესხეთ, ავიკლოთო.

„ეს ამბავი მოხდა შაბათს, როდესაც ურიებს არც დეპეშის გაგზავნა შეეძლოთ მაზრის უფროსისათვის სენაკში (რვა ვერსზე სუჯუნიდამ) და არც თვითონ წასვლა. მაგრამ აღმოჩნდა იმისთანა მადლიანი კაცი, რომელმანც ეს ამბავი მაზრის უფროს შეატყობინა; ის იმ წამსვე საჩქაროთ მოვიდა ყაზახ-რუსებით და გაჰფანტა ხალხი.

„ასე მშვიდობიანად გათავდა ჯერჯერობით ეს საქმე. და იმედია, რომ ამისთანა ხეპრულ საქმეს შემდეგში ჩვენის მხრის ხალხი არა თუ აღარ მოიქმედებს, არამედ არც განიზრახავს.

„სამწუხარო ამ შემთხვევაში კიდევ ის არის, რომ ამ დღეს დ. სუჯანანაში გავლით იყო პეტერბურღის მდიდარ ებრაელის ბარონ გინცბერგის შვილი. „სამწუხარო" ვამბობ მიტომ, რომ ჩვენ მუდამ თავი მოგვქონდა, რომ სარწმუნოების განსხვავებას არ ვაქცევთ, კაცს მარტო კაცურ თვისებით ვაფასებთო და ახლა კი ბარონ გინცბერგი სულ ამის წინააღმდეგ აზრს შეადგენს ჩვენზე..."

* * *

სარწმუნო პირები გვატყობინებენ. რომ სამტრედია—ბათუმის რკინის გზის შოზე მუშაობიდამ მოიჯარადრეები გადაუყენებით, რადგანაც საქმეს რიგიანად ვერ აკეთებდენ და მუშებსაც ატყავებდნენ. მათ მაგიერობა უკისრნიათ თვითონ ინჟინერებს, რომელნიც ადრინდელ მოიჯარადრეებზე ნაკლებ არ ავიწროებენ თურმე მუშა-ხალხს და საქმეც კი სასურველის სისწრაფით ვერც მათ მიჰყავსთ, რადგანაც შევიწროებული მუშები თან-და-თან ეცლებიან ხელიდამო...

* * *

ნაგომრიდამ (გურიიდამ) გვატყობინებენ შემდეგს უსიამოვნო ამბავს: ხუთს ამთვისას ოზურგეთიდამ მგზავრებით სავსე ფოშტის დილიჟანსმა აქაურს საფოშტე სადგურზე ცხენების გამოცვლის და გამგზავრების შემდეგ წინა ბორბლის ქვეშ მოიგდო რვა წლის ვაჟი, რომელმაც ნახევარი საათის შემდეგ სული განუტევა. მიზეზი ის ყოფილა, რომ საბრალო მსხვერპლის განიდამ ჩამოურბენია დილიჟანისათვის და კონდუქტორს და იზვოშჩიკს კი დროზედ ვერ შეუხედავსთ... მიცვალებული ერთად-ერთი

---

საგნებს მხოლოდ ცეცხლის საშუალებით. ამ გვარად მოსპილენძებული საგნები მრავალია გამოფენაზედ, მაგალითად: ადამიანის ნამდვილი სხეულები მათი აგებულობის საჩვენებლად: ტვინი, გული, ხელი, ფეხი, თავის ძვალი; ამასთანავე სხვა საგნებიც მაგ. ქუდი, თიხის ჩიბუხი, კალათი, კომბოსტოს ფურცელი, პეპელა, ბაყაყი და სხვები. გალვანოპლასტიკას დიდი მნიშვნელობა აქვს და ექნება საექიმო მეცნიერებაში, ზოოლოგიის (ცხოველთ აღწერის) და ბოტანიკის (მცენარეთ აღწერის) საგნების შესწავლაში და აგრეთვე საოჯახო სამკაულების მომჭირნეობაშიაც. მოსპილენძების მოვერცხლის და მონიკკელების საშუალებით შეიძლება ისეთი საგნების სამუდამოდ შენახვა, რომლებიც ძლიერ ჩქარა ლპებიან ანუ ჰაერში ქანგდებიან და ამასთანავე ძლიერ ძნელი და იშვიათი საშოვარნი არიან ხოლმე.

შესვლისათანავე ჩვენს ყურადღებას მიიპყრობს ერთი მაშინა, რომელიც არის შემდგარი ხის გრძელი ჩარჩოსგან. ჩარჩოში შუაზედ გაყრილია მეტალის ღერძი და მაზედ მიმაგრებულია ელექტრონის სინათლის მიმმართველი ნახევარ სფერის მსგავსი სარკე, გაკეთებული გალიქნილი მეტალისგან. ამ სარკის წინ დაწყობილია ორი ნახშირის ჯოხი, წვერებით მიშვერილნი ერთი მეორესკენ. როცა სურთ სინათლის გაჩენა, მათ აერთებენ მართულებით ელექტრო-მაგნიტებთან; ამ დროს ჩარხს ატრიალებენ ტარით, რომლის გამო მასში მყოფი სარკე, მრავალის ერთმანერთზედ გადაბმულის ბორბლების საშუალებით, მოდის ისეთ ნაირს მოძრაობაში, რომ სინათლე ჩნდება ყოველის მხრით. ამ აპარატის გვერდით არის მეორე ამის მსგავსი სარკე, დამაგრებული ახალი მთვარის მსგავს (რევშენტზედ) საფეხურზედ, რომლის საშუალებით ეს უკანასკნელი მოძრაობს მხოლოდ ერთს მიმართულებაში, როგორც საათის ქანქარა. ამ მაშინის პირ-და-პირ დარბაზის შუა ალაგას არის აუზი, რომელშიაც სდგას მაღალი კოშკი, კოშკის წვერზედ მოწყობილია პატარა ოთახის მსგავსი სადგომი, სადაც, გამართულია ელექტროსის დიდი ფარანი, შეერთებული მავთულებით ელექტრო-ანდამატის აპარატთან, რომელიც მოჰყავს მოძრაობაში ორთქლის მაშინას. როდესაც ეს უკანასკნელი მუშაობს, ელექტრო-ანდამატის აპარატში აღსრული ელექტროსი გადის მორთულებით ფანარში, სასანთლეებში ჩაყენებულია ნახშირის ორი ჯოხი ისე, როგორც წინეთ იყო ნათქვამი. ელექტრონის მდინარების დაწყებისათანავე ნახშირის წვერები, რომლებიც წინეთ თითქმის ეხებოდენ ერთმანერთს, იწყებენ დაშორებას ერთი მეორისგან და ამ დროს ელექტრონი გადადის ერთიდგან მეორეში განუწყვეტელი ნაპერწკლების მსგავსათ, რომლებისგან წარმოსდგება ისეთი მძლავრი სინათლე, რომ მაზედ თვალის გაჩერება ყოვლად შეუძლებელია. მიმდინარე ელექტრონს თან გადააქვს გაშანთული ნახშირის პატვრანი ნამცეცები დადებითი პოლიუსიდგან უარყოფითზედ.

ამ მოვლენის დასამტკიცებლად მეორე სართულში გამოფენილია ერთი აპარატი, რომლის საშუალებით ყოველს ადამიანს შეუძლია დაინახოს ეს პროცესი უბრალო თვალით. ამ აპარატის აღწერას შევუდგებით მაშინ, როცა მისი რიგი მოაწევს, ეხლა კი მომეცით ნება, ისევ ნახშირების ჯოხების აღწერას შევუდგე.

რასაკვირველია, უმეტესი ნაწილი გახურებულის ნახშირის წვერებისა იწვის, რადგანაც ეს პროცესი სწარმოებს ჰაერში; დაწვის გამო ნახშირის წვერები თან-და-თან უფრო შორდებიან ერთმანერთს. რადგან ჰაერი ელექტრონის მდინარებას წარმოუდგენს წინააღმდეგობას გზაში და ამასთანავე ნახშირებს შუა მყოფი სიშორე უფრო და უფრო მატულობს ამიტომ ელექტრონის მდინარება ბოლოს შესწყდება და ფარანი ჰქრება. ამ მოუხერხებლობის ასაცდენათ არიან გამოგონებულნი მრავალნი მაშინები, რომლის საშუალებით ნახშირები დრო-გამოშვებით უახლოვდებიან ერთმანერთს. ეს მაშინები შიგ ფანარშივე არიან მოწყობილი. ამ პატარა ოთახის კედლებს შეადგენს ფანჯრები, რომლის ჩარჩოებში ჩასმულებია სხვა-

შვილი ყოფილა თავის ახალ-გაზდა დედ-მამისა...

# უცხოეთი

**ოსმალეთი.** იერუსალიმიდამ იწერებიან, რომ იქ მიუღიათ ხონთქრისაგან ბრძანება, გაამაგრონ და ალადგინონ ძველი ნაშთები სოლომონის ტაძრისა და გაწმინდონ მის გარშემო მოედანი. ამ მოედანზე დგას ომერ-ფაშის მეჩითი, რომელსაც 1,200,000 მან. აქვს ყოველ წლიური შემოსავალი. ეს ფულა აქამდისინ სტამბოლში მიდიოდა და დღეიდამ-კი ამ ტაძრის ნაშთების გაუმჯობესებას მოეხმარება. ამგვარი განკარგულება ხონთქარისა გამოიწვია, როგორც ამბობენ, ავსტრიის პრინცის წვევამ იერუსალიმში.

—

**საფრანგეთი** 7 სან-კანტენში, ძეგლის აგების გამო, სამხედრო მინისტრმა წარმოსთქვა სიტყვა, რომელიც დიდის თანაგრძნობით მიიღო საზოგადოებამ. მინისტრი აქებდა ადგილობრივ მცხოვრებთა სიმამაცეს და მამულის მოყვარეობას. სხვათა შორის მინისტრმა ილაპარაკა გამბეტაზედაც, რომელიც თავს დებდა, რომ პრუსიასთან ბრძოლის დროს მტერი უკან ექცია და არასოდეს იმედს არ კარგავდა, მაშინ როდესაც ყველას გადაწყვეტილი ჰქონდათ იმედი: რომელმაც თავის მხურვალე სიტყვებით გააცხოველა ყველას გულში მხნეობა და მამულის სიყვარული. „თუ კაცს ჩვენი მამულის დაცვაზედ სურს ლაპარაკი, უთუოთ გამბეტაც უნდა ახსენოს. ეს გამოჩენილი სახელმწიფო კაცია, რომელსაც რაღაც მანქანებით თითქოს მიწიდამ ამოყავს მამულისათვის თავის გადამდები ჯარები. დემოკრატია და ჯარი არასოდეს არ დაივიწყებენ ამის სამსახურსაო."

—

— დიდი პოლემიკაა საფრანგეთის გაზეთში ამდგარი მომავალ გამბეტას სამინისტროზედ. მუდამ დღე ახალი და ახალი მინისტრები სჩნდებიან გაზეთებში; უმეტეს ხშირად იხსენიებენ ფრეისინეს და შალმელ ლაკურს.

ბევრს იწერებიან აგრეთვე გამბეტას მოგზაურობაზედ ამ უკანასკნელ დროს. ერთი ნემეცური გაზეთი ამტკიცებს, რომ გამბეტა მოგზაურობდა გერმანიაში ადვოკატის მასსავის სახელით და ყველაზედ უმალ ინახულა ბოლანდიაში იტალიის დეპუტატთა პალატის თავს-მჯდომარე —ფარინი, რომელმაც ვითომც გადსცა მას საყურადღებო პოლიტიკური მინდობილობა იტალიის მმართებლობისაგან.

—

**გერმანია.** პრუსიის მმართებლობამ დაატუსაღა რამოდენიმე რუსის ნიგილისტი, რომელთაც პოლშელ სოციალისტებთან ეჭირათ საქმე. ამათში ურევია ერთი მენდელსონი, რომელიც გაგზავნილი იყო ჟენევაში და მინდობილი ჰქონდა პოლშელ სოციალისტებისაგან, რომ ამათთან მოლაპარაკება გაემართა ქენ[illegible]ელ სოციალისტ[illegible]. ამ უკანასკნელ, დროს როგორც საზოგადოდ ყველა დანარჩენ ევროპიის სახელმწიფოებს, ისე გერმანიის მმართებლობასაც დიდი ყურადღება აქვს მიქცეული თავის ქვეყნის სოციალისტებზედ.

# ნარევი

—

თუ რამდენად საყვარელი და პატივცემული იყო ამერიკის განსვენებული პრეზიდენტი გარფილდი მისს თანამემამულეთათვის ამას გვატყობინებს, სხვათა შორის, შემდეგი ამბავი, რომელიც ამერიკულს გაზეთებში დაბეჭდილი:

„ერთს ახალგაზდა ამერიკელს დანიშნული ჰყავდა ქალი და დღე-დღეზე ელოდა ჯვარის წერას. უცრად მისი დანიშნული უცხადებს, რომ შეუძლებელია წამოგყვე თუ პრეზიდენტის გარფილდისაგან საკუთარი ხელით მოწერილს მისს გვარს ვერ მიშოვნიო. იმდენი ეცადა შეწუხებულმა საქმრომ, რომ სასიკვდილოდ დაჭრილმა გარფილდმა ცალიერს ქაღალდზე მოუწერა თავისი სახელი და გვარი. ეს ამბავი ფიცხლავ მოეფინა მთელს ნიუ-იორკის ქალაქს. ამ დროს ერთი ახირებული მდიდარი კაცი გადასწყვეტს „რა ფასადაც უნდა დამიჯდეს ის ავტოგრაფი (საკუთარ ხელით ნაწერი) უნდა საკუთრებად შევიძინოვო". საქმრომ უარზე დადგა, არ შემიძლია გარფილდის ავტოგრაფის დათმობა, რადგანაც უიმისოდ საცოლო არ წამომყვებაო. მდიდარმა ასი ათასი დოლლარი შეაძლია. საქმრომ უარი განუმეორა. ბოლოს, როგორც იქნა, ამ ნაირად შეთანხმდენ: მდიდარმა იმ ყმაწვილს მისთხოვა საკუთარი ქალიშვილი და მზითვად გაატანა 150,000 დოლლარი. სამაგიეროდ თავისი სასიძოსაგან მიიღო ზემოხსენებული ავტოგრაფი გარფილდისა".

* * *

ამას წინედ პარიჟში იყო კრება ატეისტებისა (ღვთის უარ-მყოფელთა), რომელთაგან ერთმა ასე დაიწყო თავისი სიტყვა: „ბატონებო, ღვთის წყალობით, მე ეხლა ღვთის უარ-მყოფელი ვარ"...

* * *

ერთი ლონდონის საექიმო გაზეთი იწერება, რომ იმან გაიცნო ქვეყნიერებაზედ უმოხუცებულესი კაცი, მიხეილ სოლის, რომელიც არის ას ოთხმოცი წლისა, თუმცა მისი მეზობლები ამტკიცებენ, რომ ის მეტისაც არისო, რადგანაც ღრმად მოხუცებულნი ქალ. სალვატორისა, სადაც ეს მოხუცი სცხოვრობს, ამბობენ, თუ ამათი მამა და [illegible] პირ გარდმოცემით იმათ დროს ეს სოლისი მოხუცი იყო. ამ ჟამად სოლისის პირის-სახე გაყვითლებულია, როგორც ეტრატი. დღეში მხოლოდ ერთ ინჯრას სჭამს. ცხელს არას სჭამს არასოდეს. მისი აზრით, ბუნება ყოველისფერს ცივს თხოულობს.

* * *

მეორე დიდი ხნის ქალი ამოჩენილა საფრანგეთში. ას თექვსმეტი წლისაა. ლიუდოვიკ მეხუთმეტე და მეთექვსმეტეს მეფობის დროს ყოფილა. დასწრებია საფრანგეთის საშინელ რევოლიუციებს, დირექტორიას, უნახავს რესტავრაცია, კარლ მეათეს მეფობა, ლუი-ფილიპისა, რესპუბლიკა, მეორე იმპერია და ბოლოს ამ მესამე რესპუბლიკასაც მოესწრო. ეს ქალი 67 წელიწადია ქვრივია. ორი წლის შემდეგ იდღესასწაულებს ასი წლის გათხოვების დღესა.

* * *

გამოჩენილ ვენგრიელ რომანისტს ზახერ-მაზოხს გამოუგზავნია გაზ. „პეტერბურღის უწყებებში" შემდეგი წერილი: „ლეიპციგი, 3-ს ღვინობისთვეს 1881 წ. მოწყ. ხელმწ. 1 ღვინობისთვეს, ლეიპციგში გამოვიდა ჩემის რედაქტორობით ახალი მიმოხილვა ხალხთა შუა სახელით „*Auf der Hoche*" (სიმაღლეზე). ამ ჟურნალს აქვს მიზნად გაავრცელოს პრინციპები კაცთმოყვარეობისა, ხალხთა შუა ძმობისა და ამათი განვითარებისა, რითაც მე ვხელმძღვანელობდი, რაც მწერლობა დავიწყე. ამ ჩემმა პროგრამამ გამოიწვია თანაგრძნობა ყველა ევროპის განათლებული ხალხისა. აქ გადმოვთვლი მე ზოგიერთ იმ პირთ, რომელთაც შემპირდნენ თანამშრომლობა და ზოგმა კიდეც გამომიგზავნა თუ მოთხრობები და თუ სხვა სტატიები:

---

და-სხვა ფერის მინები. როცა ფარანი ანთებულია, ოთახი ტრიალებს, რომლის გამო სხვა-და-სხვა ფერის სინათლე ეფინება ერთას და იმავე მიმართულებისკენ. ეს გახლავსთ ხომალდთ გზა-მაჩვენებელი კოშკი ანუ მაიაკი.

ამ კოშკის ირგვლივ, როგორც ზემორე იყო ნათქვამი, იმყოფება პატარა აუზი, რომლის ნაპირიდგან ერთ მხარისკენ სცემს წვრილ-წვრილ კამარებიანი შადრევანი. აუზში სდგას პატარა ნავი, შესანიშნავი მით, რომ ის მოჰყავთ მოძრაობაში, ნიჩბების მაგიერად შიგვე მოწყობილი ელექტრო-ანდამატის მაშინით.

კოშკის პირ-და-პირ სდგას პატარა ორ ოთახიანი სახლი. ერთი ოთახი არის მინის და მეორე ხისა. მათში აწყვია ქოთნებში ჩარგული სხვა-და-სხვა მცენარეები. ერთში მცენარეები დღითი და ღამით მუდამ განათლებული არიან ელექტრონით და მეორეში მხოლოდ ღამით. აქედგან უნდათ შეიტყონ—თუ რა გავლენა ექნება ერთის მხრით მარტო ელექტრონის და მეორეს მხრით დღისა და ელექტრონის სინათლეს ერთად მცენარეების აღზრდაზედ. თითქმის ორ თვეზე მეტია, რაც ეს მცენარეები იმყოფება ამ ნაირს მდგომარეობაში და გაბედვით შეგვიძლია ვსთქვათ, რომ შეერთებულს სინათლეს, ესე იგი დღის და ელექტრონისას უფრო დიდი გავლენა აქვს მცენარეების აღმოცენებაზედ და ზრდაზედ, ვინემ მარტო ელექტრონისას. იმ მცენარეებს, რომლებიც ექვემდებარებიან რთულს სინათლეს, უფრო მავნე ფოთლები აქვთ, უფრო ცოცხლები არიან და ჩქარა იზრდებიან, ვინემ მათი მეზობელი.

ახლა მოვბრუნდეთ შესავალის კარებისაკენ. აქ ჩვენ ვნახავთ „საფრანგეთის სასანთლო საზოგადოების" განყოფილებასა, საცა გამოფენილია ღირს-შესანიშნავი იაბლოჩკოვის მიერ გამოგონებული ნახშირის სანთლები, ამათი ჩასაგები შანდლები და ელექტრონის თეით—მიმმართველი საჭიროების-და-გვარად ერთი მართულიდგან მეორეში, ე. ი. „კომუტატორი" (სინათლის მომგროვებელი). ზემოდ გვქონდა ლაპარაკი ნახშირის სინათლეზედ, მაგრამ იმათ და იაბლოჩკოვის მიერ გამოგონებულ ნახშირის სანთლებს-შუა ის განსხვავება არის, რომ ამ უკანასკნელში ნახშირის ორი წვრილი ჯოხი აწყვია პარალელურად, ესე იგი იმ ნაირად, როგორც ორი თითი. ისინი არიან განცალკევებულნი ერთმანეთისაგან კირ-გოგირდოვანის მარილით, ერთნაირის თიხით. ერთის მხრით ორივე ჯოხის წვერები შეერთებული არიან. ეს სანთელი წარმოადგენს იმ უპირატესობას, რომ ის უფრო მარტივია, მას არ სჭირია ნახშირების დამაახლოვებელი მაშინები, ესე იგი რეგულატორები (მმართველი). ჯოხებს შუა არ მატულობს სიშორე, როცა ის იწვის და ამნაირად ელექტრონით განათება უფრო იაფად ჯდება. რადგანაც ელექტროს მდინარეობის დროს, როგორც ზევით ვსთქვით, გადააქვს დადებითი პოლიუსიდგან უარებითზედ ნახშირის პატარა ნამცეცები, ამიტომ სანთლის ერთი მხარე უფრო ჩქარა უნდა დამწვარიყო ვინემ მეორე; მაგრამ ეს ნაკლი ისპობა მით, რომ სანთლის ერთს და იმავე მხარეში გადის ხან დადებითი ელექტრონი, ხან უარებითი და ამის გამო სანთლის ერთი და იგივე წვერი მუდამ წუთში ხდება ხან დადებით და ხან უარებით პოლიუსებათ და ამ ნაირად სანთლის ორივე მხარე თანასწორად იწვის ხოლმე.

ამ განყოფილების იმრგვლივ აწყვია სხვა-და-სხვა გვარის და ფორმის ელექტრო-ანდამატის მაშინები, რომლებშიაც ჭახრაკების ტრიალის გამო იბადება ელექტრონი. ამ განყოფილებისვე მარცხნით გამოფენილია მრავალი შესანიშნავ პირების მოსპილენძებული ბიუსტები (პატარა ძეგლები), აგრეთვე ოჯახში მოსახმარი სხვა და სხვა სამკაულები, რომლებიც გაკეთებულნი არიან სპილენძის ანუ სხვა რომელიმე ძვირფასის მეტალისაგან გალვანოპლასტიკის საშვალებით.

ჯოგიაი გურული.

პარიჟი, 26 სექტ. (8 ოქტ.)

(შემდეგი იქნება).

ბ.ბ. ალფონს დოდე, კარლ ფოგტ, ოჟიე, ულბახ, რენანი, გერგი, პალმიერი, ბლუნჩლი, ზაკლინსკი და ბევრი სხვა გამოჩენილი მწერლები ევროპისა.

# განცხადებანი

თფილისის ქალაქის

## გამგეობისაგან

თფილისის ქალაქის გამგეობა ამითი ცხადებს სახლის პატრონებს, რომ გამგეობას ეჭირება სადგომები 1, 2, 3 ანუ 4 პოლიციის უჩასტკაში: 1) თბილისის პოლიციმეისტერისათვის ოთხი ოთახი თავის სამზარეულოთი, დერეფნით და საჯინიბოთი; 2 სადგომი პოლიციმეისტრის კანცელარიისათვის—ექვსი ოთახი და 3) სადგომი ცეცხლის მქრობ კამანდის 68 სალდათისათვის თვის სამზარეულოთი და 30 ცხენისათვის საჯინიბოთი, აგრეთვე სარაია კამანდის პოვოსკებისა და სხვა იარაღებისათვის და ორი ოთახი სამზარეულოთი კამანდის უფროსისათვის (ბრანტმეისტერისათვის). ყველა ეს სადგომები შეიძლება ერთს სახლში იყოს, ანუ ორში ან სამში.

ვისაც ზემოხსენებულ სადგომებისათვის სახლის გაქირავება სურს, ამ თვის 19-მდინ უნდა შემოიტანოს განცხადება თფ. ქალაქის გამგეობაში (უპრავაში). (3—1)

ინგლისის მაღაზიაში ახლად მიღებულია დიდ ძალი ჩაი პირველი მოკრეფისა 30% უკეთესი, ვიდრე სხვაგან. იქვე იყიდება: პაპიროსი 40 კაპ. დაწყებული; სტაქნები, ბაკლები 10 კაპ—დამ; პადნოსები 5 კ.—დამ, მურაბა და ალბომები ნახევარ ფასად და სხვ. (100—26)

## ექიმი რეიხი

თვალის ტკივილის ავათმყოფობისა, რომელიც ხუთი თვის განმავლობაში არ იღებდა ავათმყოფებს, ხელახლად იწყებს ექიმობას.

მიიღებს ავათმყოფებს დილის 9 საათიდამ 10-მდინ მუდამ დღე.

ადრესსი ადრინდელი; არსენალის ქუჩა. სახლი № 17.

სამკურნალოში ღარიბებს უფასოდ მიიღებს. (5—2

ჩაის მცოდნე პირმა და მსურველმა უნდა იყიდოს ჩაი, პირველი მოკრეფილისა ინგლისის მაღაზიაში 1 მან. 20 კაპ. და 2 მან. და შეადაროს ჩაის 1 60 კაპ. და 3 მან. ყველგან, ქ. თბილისში და გაიგებთ რამდენათ უკეთესი ჩაია ინგლისის მაღაზიაში. ამის გარდა მაღაზია ამლევს ჩაის წმინდა წონით უქაღალდოთ და უტყვიოთ. (100—46)

თბილისის სასულიერო სემინარიაში

იხსნება საკვირაო წერა-კითხვი სასწავლებელი სკოლა. ასწავლიან სემინარიის უფროს კლასის შაგირდებმა.

სწავლა მუქთად იქნება, შუადღიდამ მეორე საათის ნახევრამდინ.

შაგირდების წლოვანობას ყურადღებას არ მიაქცევენ. (3—3)

ლონდონის მაღაზია კომერციული ბანკის ქვეშ დაარსებულია ნამდვილი ჩაიგასასყიდლათ პირველი მოკრეფილისა და საუკეთესო ინგლისური საქონლისა: მაგალითებრ: თოფებისა, რევოლვერებისა, კლიტეებისა, ჭურჭლებისა, კრავატებისა, დანებისა, კოვზებისა, ჩაიჩიკებისა, შოკოლადისა, კაკაოსი, დუხებისა, საპონისა, შრო კებისა, ცხვირ-სახოცისა, ქაღალდისა, კარანდაშებისა, კალმებისა, უნაგრებისა, სუკრისისა (გემრიელი კლეშჩივინი ზეთისა) და სხვ. სააგენტო მაგაზინი მოსახურავებს გასასყიდლად კანფეტების და ბატკერის და კამპ. მურაბისა, აგრეთვე ჩულქებისა და წინდების ნოტინგამიდამ. ნამდვილი ჭაკანას გიარები. (100—35)

## აუქციონი

17 და 24 ოქტომბერს 1881 წ. კავკასიის აქეთა-მხრის პრიკაზში აუქციონით გაისყიდება ოქრო-ვერცხლისა და სხვა ძვირფასი ნივთები. (3—3)

# ანგარიშის მდგომარეობა

იაგორ კასუმოვის და კამპ. სავაჭრო სახლისა

1 ღვინობისთვეს 1881 წ.

| დებეტი | მან. | კ. | კრედიტი | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| ნაღდი კასსაში . . . | 707 | 02 | თავნი ფული ამხანაგობისა . . . . . | 83,375 | „ |
| % ქაღალდები ამხანაგობის საკუთრება . . . | 26,260 | 68 | ანგარიში თავნი ფულისა 1880 წლიდამ . . . | 73 | 57 |
| სპეციალ მიმდ. ანგარ. კომერც. ბანკში % ქაღალდებით უზრუნველ ყოფილნი . . . . . . | 4735 | 06 | — 1880 წლის მიუცემელ დივიდენდისა . . | 198 | 23 |
| საწევროდ შეტანილი თფ. საურთი-ერთო ბანკში . | 30 | „ | — საწევრო ფულისა თფ. საურთი-ერთო ბანკისა 1880 წლის . . . . | 3 | 37 |
| ვექსილებით გაცემული ფული 2 და 3 თავდების ხელის-მოწერით . . . | 102,813 | 30 | — საზოგადო სარგ. შემოტანილი . . . . | 15,982 | 74 |
| პროტესტიანი ვექსილები | 1938 | 24 | — მიუცემელ % შარშანდელ შენახულ ფულისა . | 17 | 85 |
| % ქაღალდების გირაოთ გასესხებული . . . . | 16,149 | 14 | — სპეც. მიმდინარე ანგარიში % ქაღ. გირაოთი | 13,924 | „ |
| საქონლის გირაოთ გასესხებული . . . . | 374 | 95 | — ბანკებში გადაგირავებს % ქაღალდებისა . . | 13,960 | „ |
| უკან დასაბრუნებელი ხარჯი . . . . . . | 6866 | 20 | - - თფ. კომერც. ბანკში ვექსილების დაგირავ. . . | 2,000 | „ |
| % მიცემული % ქაღალდების მეორედ დაგირავებისთვის . . . . . | 1169 | 73 | — ვადებით გაყიდვისაგან % ქაღალდებისა 1881 წლის . . . . | 3,190 | „ |
| — ვექსილების დასაგივებლად . . . . . | 185 | 18 | — % სხვა და სხვა ოპერაციებისა . . . | 18,461 | 46 |
| — სპეციალურ მიმდინარე ანგარიშში . . . | 239 | 93 | — ჯარიმა ვალისთვის დროზე შემოუტანლობისათვის . . . . . | 3,273 | 70 |
| — დროებით შესანახად შეტანილ ფულისა . . | 91 | 25 | — პოდრიადებისა . . | 858 | 55 |
| — მოთხოვნამდინ შეტანილ ფულისა . . . . | 142 | 97 | — გარდამავალი ჯამი . | 1,067 | 70 |
| — მიმდინარე ანგარიშისა პირობით და შესანახი | 504 | 46 | — სასწავლებლისათვის ფონდი . . . . . | 24 | 52 |
| — უძრავ მამულების იჯარისა . . . . . . | 37 | 64 | სულ . . | 172,301 | 38 |
| — მოძრავი ქონება ამხანაგობისა . . . . . | 1630 | 72 | | | |
| — % მოგებიან ბილეთების სტრახისა . . . | 45 | 80 | | | |
| — მიმდინარე ხარჯი სმეტით . . . . . . . | 6,778 | 52 | | | |
| სულ | 172,301 | 38 | | | |

(3—3)

ინგლისის მაღაზიაში

არწრუნის გალლერეაში

(*Maison de confiance*)

შეადარეთ ჩვენი ჩაი ჩაის ყველგან

— — 1 მ. 10 კაპ.— 1 მ. 40 კაპ.
— — 1 „ 20 „ — 1 „ 60 კაპ.
— — 1 „ 40 „ — 1 „ 90 კაპ.
— — 1 „ 60 „ — 2 „ 20 კაპ.
— — 1 „ 80 „ — 2 „ 50 კაპ.
საუკეთესო 2 მანეთ. — 3 მანეთ.

ჩაის წონა—უქაღალდოა, სხვაგან კი ქაღალდით. (100—48)

ინგლისის მაღაზიაში



ამაგრებს თმას და ადრინდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუშისა 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაპ.

აქვე იყიდება ქინის პომადა თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მან. სიროპები თავის ტკივილის მოსასპობლად, ტუალეტის საპონი, დუხები და სხვ (100—58)

## იყიდება

25% ნაკლებ მინამ სხვა ალაგას ჩაი, კაკაო, შეკოლადი, ბისკვიტი, მურაბა, ბრინჯი, ჭურჭლები, სტაქნები, ბაკლები, თეფშები, ჩაინიკები, სუდოკები, ფოდნოსები, პირის-საბანი, კლიტეები, სამურველი, ტანისამოსის საკიდი, კოვზები, დანები, კალმები, ქაღალდი, კანვერტები, რვეულები, კარანდაშები, თოფები, რევოლვერები, კრაგები, პლაშჩები, ვანები, ქამრები, საყელურები, კლიონკა, უნაგირები, ლაგმები, უთოები, ტასტები, პირისახოცი, ცხვირის-სახოცი, ჩულქები, ტუალეტის საპონი, დუხები, შარბათი, ციტმატმაგნეზია, ქინას ღვინო, პორტ-ვეინი, ხერესი, კონიაკი და ათასი სხვ. რამეები,—ინგლისის მაღაზიაში. იქვე ჩაი ვაჭართათვის ნარდათ: ფუთობით 40, 46, 52 და 58 მან. და გირვანქობით: 1 მ., 1 მ. 10 კ., 1 მ. 20 კ., 1 მ. 40 კ., 1 მ. 60 კ., 1 მ. 80., და უპირველი ხარისხისა 2 მ.—წონა უქაღალდოთ.

თოფები 20—60 მან, ჩოკ-ბორ (*choke bore*) *Ceorge Dau*-ს ფაბრიკიდამ—120 მან. რევოლვერები 4—34 მან. და ბულდოგისა 11—20 მ. ქალის უნაგირები 65 მან-დამ.; შეფილდის დანები ჩანგლებით 3 მან. 50 კაპ-დამ დუჟ., ალბომები ნახევარ ფასად, ფილტრები და სხვ.

ყველაზედ უმრავლესი ამორჩევა თოფებისა და რევოლვერებისა თფილისში. (100—19)

## იყიდება

ბექანთუბანში კარგი რცხილისა და წიფლის შეშა ნავით ჩამოტანით. მიმართეთ ნ. ჩხეიძეს. (10—8)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 8 Октября 1881 г. Типографія С. Меликова. გამომც. ს. მელიქიშვილი. რედაქტორები: ილ. ჭავჭავაძე და ს. მესხი